# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ.თბილისი                                                    " 14 " მაისი 2014 წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი" (შემდეგ - "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი დეკანოსიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი" (შემდგომში – "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის (მინდობილობა №0011; გაც.თარიღი: 03.01.2014წ.) ვარკეთილის ფილიალის დირექტორის არჩილ მჭედლიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

"მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ა/მ-ისათვის **უაზ-3973 (სახ.№ACK-176)** ამ ხელშეკრულების დანართ№1-ში წარმოდგენილი საქონლის მიწოდება და აღნიშნულ ა/მ-ზე მისი დაყენებისა და ბალანსის მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის **CPV კოდი: 34300000 ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის; (დეტალური CPV კოდი: 34351100 საბურავები ძრავიანი მსუბუქი მანქანებისათვის;**

2.3. მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ზუსტი დასახელებები, ერთეულის და საერთო ღირებულებები, მახასიათებლები და სხვა ინფორმაცია მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულება, წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **960 (ცხრაასსამოცი) ლარს.** (მათ შორის დღგ), რომლის გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების დაფინანსების წყაროა შემსყიდველის 2014 წლის სახსრები – საკუთარი შემოსავლები.

## 4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება/მომსახურების გაწევა. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

4.3 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.5 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.6 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.7 თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან ამ ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

4.8 თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან მათი არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად ან/და არადროულად შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება/მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის ვადაში.

5.2 შესყიდის ობიექტის მიწოდების/მომსახურების გაწევის ადგილია შ.პ.ს. “თეგეტა მოტორსი”-ს ვარკეთილის ფილიალის სერვის-ცენტრი (ლადოძის ქ.№7) ან კონკრეტული მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე შ.პ.ს. “თეგეტა მოტორსი”-ს სხვა სერვის-ცენტრი.

5.3 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად/მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების (მიწოდებული საქონლის) შესაბამისად (ხელშეკრულების დანართში არსებული განფასების ფარგლებში) გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა (ასევე სასაქონლო ზედნადები – თუ შეძენილია საქონელი). საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული ფორმით.

5.4 საწარმოს ხელმძღვანელების გარდა, შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია საწარმოს ავტოსატრანსპორტო მეურნეობის ჯგუფის უფროსი ნესტორ თამარაშვილი (პირადი№01012016564), ასევე როინ კირკიტაძე (პირადი№01011071219) და გია მჭედლიშვილი (პირადი№01001021673).

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი საწარმოს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგ თანამშრომელთა შემადგენლობით: ნესტორ თამარაშვილი, ელენე მიქაძე (ანგარიშსწორების კუთხით).

## 7. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეულ მომსახურებას არ გააჩნია რაიმე ნაკლი ან დეფექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ დაუყონებლივ, ზრალეული გაჭიანურების გარეშე, საკუთარი სახსრებითა და რესურსებით უზრუნველყოს ნაკლის და დეფექტის აღმოფხვრა.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საწონლის/გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის (ასევე სასაქონლო ზედნადების – თუ შეძენილია საქონელი) წარმოდგენიდან (მათ შორის ელექტრონული ფორმით წარმოდგენიდან) 10 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი არ მოახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

## 9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული მომსახურების გაწევის საერთო სავარაუდო ღირებულება წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

10.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5 დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

## 11. უფლების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების, მათი გამომწვევი მიზეზების და აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ (თუ ეს ყოველივე პროგნოზირებადია).

12.4. ამ მუხლის შესაბამისად წარმოშობილი ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ვადა (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა) გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.5. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვის გარეშე.

## 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

13.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდებისათვის/მომსახურების გაწევისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

13.5. შემყიდველის მიერ ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.7. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების რომელიმე მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 20 დღით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მთელი მომსახურება (მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი) ან მისი ნაწილი;

გ) თუ აღმოჩნდება, რომ მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ხარისხი მიუღებელია და აშკარად ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მოცემულ გარანტიას.

დ) ამ ხელშეკრულების 13.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხის დავის გადაწყვეტის შესახებ გადაეცემა სასამართლოს.

## 16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, თუმცა არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივლისისა.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

16.3. ხელშეკრულებას თან ერთვის მე-2 მუხლით გათვალისწინებული "დანართი №1" – " 1 " ფურცლად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.4. ხელშეკრულებას თან ერთვის გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის – ვარკეთილის ფილიალის დირექტორის არჩილ მჭედლიშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა №0011 (გაც.თარიღი: 03.01.2014წ.) – " 1 " ფურცლად.

## 17. მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები

**"შემსყიდველი"**

შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

მთაწმინდა, ფუნიკულიორის ზედა პლატო;
საიდენტიფიკაციო № 203829250;
სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრ.ფილიალი
ანგ№GE78BG0000000181761401; კოდი: BAGAGE22
ტელ: 2368116; 2506336; ფაქსი:2506333

დირექტორი:

------------------------------ /გ.დ[illegible]ანოსიძე/

**"მიმწოდებელი"**

შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"

ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №5;
საიდენტიფიკაციო № 202177205;
სს "თიბისი ბანკი"; კოდი: TBCBGE22;
ანგ№ GE80TB0600000024467853;
ტელ: 2244444; 264444; ფაქსი:457033

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი –
ვარკეთილის [illegible] დირექტორი:

------------------------------ /ა.მჭედლიშვილი/

დანართი №1

| № | დასახელება (დეტალური აღწერა) | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| | CPV კოდი: 34351100 საბურავები ძრავიანი მსუბუქი მანქანებისთვის და მისი თანმდევი მომსახურება – საბურავების მოხსნა, დაყენება, ბალანსირება | | | | |
| 1 | **NK 215/90-15C IA-245 99K 165** | ცალი | 4 | 225 | 900 |
| 2 | **მოხსნა-დაყენება-ბალანსი** | ცალი | 4 | 15 | 60 |
| | | | | სულ ჯამი: | **960** |

**"შემსყიდველი"**

შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

დირექტორი:

------------------ /ა.დეკანოსიძე/

**"მიმწოდებელი"**

შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი – [illegible] ფილიალის დირექტორი:

------------------ /ა.მჭედლიშვილი/

შპს თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS LTD

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

№0011
03.01.2014 წ

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე ენდობა ამავე საზოგადოების ვარკეთილის ფილიალის დირექტორს არჩილ მჭედლიშვილს (პირადობის მოწმობა №გ 1332517) მასზედ, რომ მას აქვს უფლება ხელი მოაწეროს საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ნარდობის, მომსახურეობის ხელშეკრულებებზე. ასევე უფლება აქვს იყოს საზოგადოების წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, მინდობილი პირის სახელით ხელი მოაწეროს იჯარის ხელშეკრულებას, შეწყვიტოს, ვადა გააგრძელოს ან შეიტანოს ცვლილება მასში. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების განხორციელებასთან.

მინდობილობა ძალაშია **2014 წლის 3 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

პირადი ხელმოწერა (არჩილ მჭედლიშვილი)..................................................................

პირადი ნომერი: **01011029691**

მისამართი:თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ.№57ა კორ.2 ბ.19

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება:სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისნის სამსახური

გაცემის თარიღი:01.10.2009წ

ამტკიცებს,
შპს“თეგეტა მოტორსის“
გენერალური დირექტორი — თემურ კოხოძე

TEGETA MOTORS

საქართველო, 0131 ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ.№5.
ტელეფონი: 224 44 44
ფაქსი: 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC–ბანკი"
SWIFT: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853
მიმღები: შპს "თეგეტა მოტორსი"
საიდ/კოდი: 202177205

#5, 12–km. D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia.
Tel: +99532 224 44 44
Fax: +99532 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11. Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi. Georgia
SWIFT: TBCBGE22830
BEN'S Account: GE83TB0600000061070209
NAME OF BENEFICIARY: TEGETA MOTORS LTD

შემოსავლების სამსახური

დანართი N5

დამტკიცებულია
საქართველოს ფინანსთა მინისტრის
წლის ბრძანებით

| 1 |
|---|
| ეგზემპლარი |

## საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა N 7015814

### ეა-02 სერია

| 2 | მაისი | 2014 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 3 | 14 | მაისი | 2014 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

**4 გამყიდველი**

| 4.1 | 2 | 0 | 2 | 1 | 7 | 7 | 2 | 0 | 5 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 4.2 | შპს თეგეტა მოტორსი |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

**5 მყიდველი**

| 5.1 | 2 | 0 | 3 | 8 | 2 | 9 | 2 | 5 | 0 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ავტოტექმომსახურება | სხვა | | 960,00 | 146,44 | |
| სულ | | | 960,00 | 146,44 | |

| | . . |
|---|---|

საქონლის ზედნადების N — თარიღი

შენიშვნა: პირველი ეგზემპლარი - მყიდველს. მეორე ეგზემპლარი - გამყიდველს

ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე ხელმოწერა ბ.ა.

ეა-02 7015814

**შესრულების აქტი** **420360191**

ხელშეკრულების № 40005958

[redacted] 14.05.2014

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ის ( 203829250 ) წარმომადგენელმა მივიღე, ხოლო შ.პ.ს. "თეგეტა მოტორს"-ის ( 202177205 ) წარმომადგენელმა ჩავაბარე 960.00 ლარის ღირებულების ავტოტექმომსახურება რომელზეც გაიხარჯა ქვემოთ მოცემული საქონელი:

| | |
|---|---|
| [redacted] | UAZ UAZ |
| [redacted] | ACK176 |

[redacted] 187000 კმ

| [redacted] | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრონირებული საბურავის მ/დ ბალანსირება | 60.00 | 1 | საბურ. NK 215/90-15C IA-245 99K | 4 | ც | 225.00 | 900.00 |
| | ჯამი: | [redacted] | | | | | ჯამი: | [redacted] |

| [redacted] | | |
|---|---|---|
| 1 | გახარჯული სათადარიგო ნაწილები | [redacted] |
| 2 | გაწეული მომსახურება | |
| | ჯამი | |

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ის წარმომადგენელი

შპს "თეგეტა მოტორსი"-ის წარმომადგენელი

მძღოლი

## მიღება–ჩაბარების აქტი

TEGETA MOTORS

| | |
|---|---|
| თარიღი/მიმღები | 14.05.2014 / 13:36:00 G.MALASIDZE |
| შესრ. თ/დ | 14.05.2014 / 14:37:54 |
| შეკვეთის ტიპი | სერვისი - გადარიცხვა |
| სამუშაო ადგილი | 160001 / ვარკეთილი - ზეთის შეცვლის უბანი |

შეკვეთის № 420360191

ინვოისი **3000539147** **5000106436**

შენიშვნა

| | | | |
|---|---|---|---|
| № | 10130530 | მწარმ/მარკა: | UAZ |
| სახ სახ. №:: | ACK176 | მოდელი: | UAZ |
| VIN | SXAZX12345AXCD | წელი/თვე | 1998 / |
| ძარის № | | გარბენი | 187000 კმ |
| მძღოლი | ნესტორ თამარშვილი | | |

დამკვეთი 101516 / 203829250 / 03
შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"
ქ.თბილისი, მთაწმინდა ფუნიკულიორის ზ/პლატო

### სამუშაოების ჩამონათვალი

| პოზიცია | სამუშაოს დასახელება (კოდი) | ტაბელური № | | ღირ. (ლ) |
|---|---|---|---|---|
| 0010 | 6001195 ბრონირებული საბურავის მ/დ ბალანსირება | 145 | | 60,00 |
| | | | სულ: | **60,00** |

### კლიენტის მიერ ასანაზღაურებელი სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები

| პოზიცია | სათ. ნაწილების და სახარჯი მასალების დასახელება | არტიკული | ერთ. | რაოდ. | ფასი | ღირ. (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0010 | 20100370 საბურ. NK 215/90-15C IA | 165 | ც | 4 | 225,00 | 900,00 |
| | | | | | სულ: | **900,00** |

### კლიენტის სათადარიგო ნაწილები

| პოზიცია | სათ. ნაწილების დასახელება | ერთ. | რაოდ. | მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

### სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარების რეკომენდაციაც გაეწია დამკვეთს და მისი სურვილით არ შესრულდა

| სამუშაოს დასახელება (კოდი) |
|---|
| |

TEGETA MOTORS 202177205

სამუშაოების მოცულობასა და შესრულების ხარისხს ვეთანხმები.
არ გამაჩნია პრეტენზია კომპლექტაციასთან დაკავშირებით

ავტომობილზე ან მისაბმელზე საბურავის ყოველი მოხსნა–დაყენებისას,
50კმ–ის გავლის შემდეგ აუცილებლად გადაამოწმეთ თვლის სარჭი
ქანჩის დაჭერის მომენტი მწარმოებლის მოთხოვნების თანახმად.
წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაზიანდეს ავტომობილი

დამკვეთის ხელმოწერა ____________

შემსრულებლის ხელმოწერა ____________

შეკვეთის ღირებულება (ლარი) **960,00**

შემსრულებლის რეკვიზიტები: შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი", აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, № 5 , ს/კ: 202177205,
ქ.თბილისი, სს "თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101830, ა/ა : GE80TB0600000024467853
Tel: +995322244444, Fax: +995322344444 , E-mail: info@tegetamotors.ge, WEB: www.tegetamotors.ge